

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2012 წლის 26 ოქტომბრის სხდომის

ოქმი N14

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 27 წევრიდან, ესწრებოდა 20. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე. სხდომას ესწრებოდა სტუ-ს რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

**წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.**

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი-2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ - მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** სტუ-ს სენატის სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით, წარმოგიდგინთ ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს, კერძოდ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2012 წლის 20 სექტემბრის =22053 წერილისა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე:

1.1. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შეუმცირდეთ დამტკიცებული ბიუჯეტები 35 000 ლარით, კერძოდ:

1.1.1. ვლ. ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტს – 7 088 ლარით;

1.1.2. ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტს – 2 903 ლარით;

1.1.3. ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტს – 4 403 ლარით;

1.1.4. კვების მრეწველობის ინსტიტუტს – 1 613 ლარით;

1.1.5. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტს – 4 060 ლარით;

1.1.6. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის – 1 410 ლარით;

1.1.7. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტს – 3 341 ლარით;

1.1.8. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ ცენტრს – 426 ლარით;

1.1.9. ბიოტექნოლოგიის ცენტრს – 1 150 ლარით;

1.1.10. ინსტიტუტ „ტექინფორმს“ – 1 606 ლარით;

1.1.11. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტს – 7 000 ლარით.

1.2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2012 წლის 15 ოქტომბრის №36827 წერილისა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე, შეიცვალა უცხოეთიდან პროფესორ-მასწავლებლების მოწვევის პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო დაფინანსება (1000000 ლარი), საიდანაც 171 582 ლარით დაფინანსდა სტუ-ს პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობის ხელშეწყობის ღონისძიებანი.

1.2.1. უცხოეთიდან პროფესორ-მასწავლებლების მოწვევის პროგრამის საბიუჯეტო დაფინანსება შემცირდეს 250 000 ლარით და საბოლოოდ განისაზღვროს 578 418 ლარით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჯამში სტუ-ს საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსება შემცირდეს 285 000 ლარით და განისაზღვროს 3 393 543 ლარით.

2. განხორციელდეს ცვლილება ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში, კერძოდ:

2.1. შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში გადატანილ იქნეს 534 280 ლარი, ხოლო 17 300 ლარი – დანამატის მუხლში.

2.2. არაფინანსური აქტივების, შენობა-ნაგებობების კაპიტალური შეკეთების მუხლიდან 256 272 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების წყლის ხარჯების პუნქტში, 158 231 ლარი – სხვა ხარჯების მოგების გადასახადის პუნქტში, 68 968 ლარი – სხვა ხარჯების ქონების გადასახადის პუნქტში.

2.3. წარმომადგენლობითი ხარჯების საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯებიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმანის მომსახურების ხარჯების პუნქტში.

2.4. წარმომადგენლობითი ხარჯების საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯებიდან 100 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების სტიპენდიის პუნქტში.

3. განხორციელდეს ცვლილება საფაკულტეტო ბიუჯეტებსა და შესაბამისად ნაერთ ბიუჯეტში, კერძოდ:

3.1. სამშენებლო ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 69 000 ლარი, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტიდან 85 000 ლარი, სულ 154 000 ლარი, გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასების მუხლში, ხოლო შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 23 013 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების მუხლის შენობა-ნაგებობის კაპიტალური შეკეთების ხარჯების პუნქტში.

3.2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტიდან 140 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასების მუხლში.

3.3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტიდან 170 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასების მუხლში, ხოლო შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 2 000 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების პუნქტში.

3.4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტიდან 200 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასების მუხლში.

3.5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტიდან 260 000 ლარი, ხოლო შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 30 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასების მუხლში.

3.6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტიდან 12 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასების მუხლში, ხოლო შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 3 000 ლარი – პრემირების პუნქტში.

3.7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტიდან 160 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასების მუხლში.

3.8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტიდან 321 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასების მუხლში.

4. შევიდეს ცვლილებანი სტუ-ს ბიუჯეტში ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში, კერძოდ:

4.1. საშემოსავლო ნაწილში ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლები გაიზარდოს 267 339 ლარით.

4.2. ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ზრდის ხარჯზე გაიზარდოს ხარჯვითი ნაწილი:

ა) დღგ-ს გადასახადი – 13 400 ლარით;

ბ) მოგების გადასახადი – 88 211 ლარით;

გ) წყლის გადასახადი – 15 728 ლარით;

დ) ელ. ენერჯის გადასახადი – 150 000 ლარით.

4.3. სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის საკუთარი შემოსავლებიდან, შესაბამისად, ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლებსა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვაში, ასევე ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 2 900 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარების შეძენის მუხლში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული; 1 100 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლის, საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯების პუნქტში, ხოლო 1 157 ლარი მიმდინარე რემონტის, ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, სათადარიგო ნაწილების, ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენის ხარჯების პუნქტში.

5. საერთაშორისო საგრანტო ხელშეკრულების „ტემპუსის“ =516613 პროექტის ხარჯთაღრიცხვითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულია სტუ-ს თანადაფინანსების წილი 8 304 ევროს ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში, რაც შეადგენს 17 854 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის თანადაფინანსების წილი (17 854 ლარი), ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების შენობა-ნაგებობების კაპიტალური შეკეთების ხარჯებიდან გადატანილ იქნეს სუბსიდიის მუხლში და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე.

6. განხორციელდეს ცვლილებები საფაკულტეტო ბიუჯეტებში:

6.1. სამშენებლო ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში სამემოსავლო ნაწილი შემცირდეს 101 440 ლარით, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც. კერძოდ:

6.1.1. შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯები შემცირდეს 25 439 ლარით.

6.1.2. ტრანსპორტის დაქირავების (გადაყვანა-გადაზიდვის) ხარჯები შემცირდეს 3 000 ლარით.

6.1.3. არაფინანსური აქტივების, ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის ხარჯების მუხლი შემცირდეს 48 167 ლარით.

6.1.4. ნედლეულისა და მასალების ხარჯები შემცირდეს 24 834 ლარით.

6.2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილი შემცირდეს 127 528 ლარით, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც. კერძოდ:

6.2.1. შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯები შემცირდეს 127 528 ლარით.

6.3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილი შემცირდეს 74 350 ლარით, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც. კერძოდ:

6.3.1. შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯები შემცირდეს 57 000 ლარით.

6.3.2. კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის ხარჯები შემცირდეს 2 350 ლარით.

6.3.3. არაფინანსური აქტივების, ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის ხარჯები შემცირდეს 15 000 ლარით.

6.4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილი შემცირდეს 50 161 ლარით, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც. კერძოდ:

6.4.1. შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯები შემცირდეს 50 161 ლარით.

6.5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილი შემცირდეს 142 500 ლარით, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც. კერძოდ:

6.5.1. საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენის მუხლი შემცირდეს 49 000 ლარით.

6.5.2. შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯები შემცირდეს 77 000 ლარით.

6.5.3. არაფინანსური აქტივების, კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლი შემცირდეს 8 500 ლარით.

6.5.4. არაფინანსური აქტივების, ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის შეძენის მუხლი შემცირდეს 8 000 ლარით.

6.5.5. განხორციელდეს შიდამუხლობრივი ცვლილება: არაფინანსური აქტივების, ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის შეძენის მუხლიდან 600 ლარი გადატანილ იქნეს სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის ხარჯების პუნქტში.

6.6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილი შემცირდეს 17 313 ლარით, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც. კერძოდ:

6.6.1. შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯები შემცირდეს 17 313 ლარით.

6.6.2. განხორციელდეს შიდამუხლობრივი ცვლილება: შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 1 800 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.

6.7. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილი შემცირდეს 412 914 ლარით, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც. კერძოდ:

6.7.1. არაფინანსური აქტივების კომპიუტერული ტექნიკის შეძენის ხარჯები შემცირდეს 412 914 ლარით.

6.7.2. განხორციელდეს შიდამუხლობრივი ცვლილება: არაფინანსური აქტივების, კომპიუტერული ტექნიკის შეძენის ხარჯებიდან 600 ლარი გადატანილ იქნეს სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის ხარჯების პუნქტში.

6.8. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილი შემცირდეს 248 325 ლარით, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც კერძოდ:

6.8.1. შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯები შემცირდეს 248 325 ლარით.

**სპიკერი:** საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეს ბატონ დავით ჯაფარიძეს მინდა ვკითხო აზრი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედმა კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე. მოგახსენებთ, რომ ჩვენი მიდგომა საკმაოდ კონსტრუქციულია. წარმოდგენილი საკითხის მიხედვით ადმინისტრაციის ხარჯები იზრდება ხუთასი ათასით, მაგრამ რა აუცილებლობით მოხდა ამ ხარჯების ზრდა, ამაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი ვარ მივიღე და თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციაც არაა საკმარისი და დასაბუთებული. რაც შეეხება სტუ-ს ფაკულტეტების და, შესაბამისად, ნაერთ ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს, მინდა აღვნიშნო, რომ საბიუჯეტო პროცესი არის მოშლილი, დეკანების მოხსენებითი ბარათებიც ძალიან მშრალი და ზოგადია, მათში არაა დაკონკრეტებული თანხობრივი ცვლილებების გამომწვევი მიზეზები, მაგრამ ახლა კომისიაც და სენატის წევრებიც გამოუვალ სიტუაციაში ვვარდებით, ვინაიდან, თუ წარმოდგენილი საკითხი არ დავამტკიცეთ, უნივერსიტეტში მომუშავე პერსონალი ხელფასს ვერ მიიღებს. გამომდინარე აქედან, კომისია თანახმაა, ეს საკითხი პირობითად, გამონაკლისის სახით დავამტკიცოთ. მაგრამ აქვე მინდა დავამატო, რომ მომავალში, როდესაც წყვეტთ თანამშრომლის მიღების საკითხს ჯერ გადახედეთ ბიუჯეტს, არის თუ არა შესაბამისი თანხა, და შემდეგ გაუფორმეთ ხოლმეკრულება. ასევე, ჩვენი უმთავრესი თხოვნაა, რომ ყველა საკითხს, რომელსაც კომისიას მოაწვდით, აუცილებლად დართული ჰქონდეს



დოკუმენტაცია და ახსნა-განმარტება, თუ რამ გამოიწვია ფინანსური ცვლილება.

**სპიკერი:** სენატში შემოსული მასალა, რომლის საფუძველზეც მიღებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება, ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილია კონკრეტული ახსნა-განმარტების გარეშე. ახლაც დეკანების მოხსენებითი ბარათები იყო ზერელე და უპასუხისმგებლო.

**პროფ. დავით ნოზაძე:** როგორც ჩანს, ერთ დღეში ვერ ესწრება კომისიის მიერ საბიუჯეტო საკითხების განხილვა და ეს ხშირად ხდება დავის საგანი. აქედან გამომდინარე, საკითხები, რომლებიც თანხობრივ ცვლილებებს იწვევს ბიუჯეტში, უმჯობესი იქნება რამდენიმე დღით ადრე მიაწოდოთ კომისიას განსახილველად, რათა წინასწარ ყველაფერი იყოს შეჯერებული და გაანალიზებული.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.**

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1

### 2012 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

სენატი აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 19 და 26 ოქტომბერს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა წერილებით მიმართა სენატს უნივერსიტეტის 2012 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ კვლავ იზრდება ხარჯები სტუ-ს ადმინისტრაციაში შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე (534 280 ლარით) და იგი გათვალისწინებულია განხორციელდეს შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯების შემცირებით. საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციაში მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ხარჯებმა 4 800 000 ლარს გადააჭარბა. ამ მიმართულებით ხარჯების მატებამ 20 %-ს მიაღწია. აღნიშნული

გარემოება განპირობებულია იმით, რომ სტუ-ში დღემდე ვერ დასრულდა კადრების ოპტიმიზაციის პროცესი.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ სტუ-ში წყლის და ელექტროენერჯის ხარჯვაზე არ ხორციელდება სათანადო კონტროლი, რის შედეგად წყლის გადასახადი გაიზარდა 256 272 ლარით, ელექტროენერჯის გადასახადი – 150 000 ლარით.

საბიუჯეტო ხარჯების არასწორი დაგეგმვის გამო ფაკულტეტებზე აუცილებელი გახდა საფაკულტეტო ბიუჯეტების ხარჯვითი ნაწილის, ასევე საშემოსავლო ნაწილის სერიოზული ცვლილებანი.

იმის გათვალისწინებით, რომ სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე სტუ-ს რექტორატს და ადმინისტრაციას დაგეგმილი აქვს მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით მართვის ახალი სტრუქტურის შემუშავება და კადრების ოპტიმიზაციის ჩატარება, წყლის და ელექტროენერჯის ხარჯვაზე მონიტორინგის გაძლიერება, სენატმა გადაწყვიტა: სტუ-ს 2012 წლის ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2012 წლის 20 სექტემბრის =22053 წერილისა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე:

1.1. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შეუმცირდეთ დამტკიცებული ბიუჯეტები 35 000 ლარით, კერძოდ:

1.1.1. ვლ. ჭავჭავაძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტს – 7 088 ლარით;

1.1.2. ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტს – 2 903 ლარით;

1.1.3. ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტს – 4 403 ლარით;

1.1.4. კვების მრეწველობის ინსტიტუტს – 1 613 ლარით;

1.1.5. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტს – 4 060 ლარით;

1.1.6. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის – 1 410 ლარით;

1.1.7. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტს – 3 341 ლარით;

1.1.8. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ ცენტრს – 426 ლარით;

1.1.9. ბიოტექნოლოგიის ცენტრს – 1 150 ლარით;

1.1.10. ინსტიტუტ „ტექინფორმს“ – 1 606 ლარით;

1.1.11. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტს – 7 000 ლარით.

1.2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2012 წლის 15 ოქტომბრის =36827 წერილისა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე, შეიცვალა უცხოეთიდან პროფესორ-მასწავლებლების მოწვევის პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო დაფინანსება (1000000 ლარი), საიდანაც 171 582 ლარით დაფინანსდა სტუ-ს პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობის ხელშეწყობის ღონისძიებანი.

1.2.1. უცხოეთიდან პროფესორ-მასწავლებლების მოწვევის პროგრამის საბიუჯეტო დაფინანსება შემცირდეს 250 000 ლარით და საბოლოოდ განისაზღვროს 578 418 ლარით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჯამში სტუ-ს საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსება შემცირდეს 285 000 ლარით და განისაზღვროს 3 393 543 ლარით.

2. განხორციელდეს ცვლილება ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში, კერძოდ:

2.1. შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში გადატანილ იქნეს 534 280 ლარი, ხოლო 17 300 ლარი – დანამატის მუხლში.

2.2. არაფინანსური აქტივების, შენობა-ნაგებობების კაპიტალური შეკეთების მუხლიდან 256 272 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების წყლის ხარჯების პუნქტში, 158 231 ლარი – სხვა ხარჯების მოგების გადასახადის პუნქტში, 68 968 ლარი – სხვა ხარჯების ქონების გადასახადის პუნქტში.

2.3. წარმომადგენლობითი ხარჯების საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯებიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს სხვა

დანარჩენი საქონელი და მომსახურების საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმანის მომსახურების ხარჯების პუნქტში.

2.4. წარმომადგენლობითი ხარჯების საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯებიდან 100 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების სტიპენდიის პუნქტში.

3. განხორციელდეს ცვლილება საფაკულტეტო ბიუჯეტებსა და შესაბამისად ნაერთ ბიუჯეტში, კერძოდ:

3.1. სამშენებლო ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 69 000 ლარი, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტიდან 85 000 ლარი, სულ 154 000 ლარი, გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასების მუხლში, ხოლო შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 23 013 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების მუხლის შენობა-ნაგებობის კაპიტალური შეკეთების ხარჯების პუნქტში.

3.2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტიდან 140 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასების მუხლში.

3.3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტიდან 170 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასების მუხლში, ხოლო შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 2 000 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების პუნქტში.

3.4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტიდან 200 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასების მუხლში.

3.5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების

პუნქტიდან 260 000 ლარი, ხოლო შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 30 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასების მუხლში.

3.6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტიდან 12 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასების მუხლში, ხოლო შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 3 000 ლარი – პრემირების პუნქტში.

3.7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტიდან 160 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასების მუხლში.

3.8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტიდან 321 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასების მუხლში.

4. შევიდეს ცვლილებანი სტუ-ს ბიუჯეტში ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში, კერძოდ:

4.1. საშემოსავლო ნაწილში ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლები გაიზარდოს 267 339 ლარით.

4.2. ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ზრდის ხარჯზე გაიზარდოს ხარჯვითი ნაწილი:

- ა) დღგ-ს გადასახადი – 13 400 ლარით;
- ბ) მოგების გადასახადი – 88 211 ლარით;
- გ) წყლის გადასახადი – 15 728 ლარით;
- დ) ელ. ენერჯის გადასახადი – 150 000 ლარით.

4.3. სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის საკუთარი შემოსავლებიდან, შესაბამისად, ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლებსა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვაში, ასევე ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 2 900 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-

დანადგარების შეძენის მუხლში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული; 1 100 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლის, საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯების პუნქტში, ხოლო 1 157 ლარი მიმდინარე რემონტის, ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, სათადარიგო ნაწილების, ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენის ხარჯების პუნქტში.

5. საერთაშორისო საგრანტო ხელშეკრულების „ტემპუსის“ =516613 პროექტის ხარჯთაღრიცხვითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულია სტუ-ს თანადაფინანსების წილი 8 304 ევროს ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში, რაც შეადგენს 17 854 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის თანადაფინანსების წილი (17 854 ლარი), ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების შენობა-ნაგებობების კაპიტალური შეკეთების ხარჯებიდან გადატანილ იქნეს სუბსიდიის მუხლში და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე.

6. განხორციელდეს ცვლილებები საფაკულტეტო ბიუჯეტებში:

6.1. სამშენებლო ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილი შემცირდეს 101 440 ლარით, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც. კერძოდ:

6.1.1. შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯები შემცირდეს 25 439 ლარით.

6.1.2. ტრანსპორტის დაქირავების (გადაყვანა-გადაზიდვის) ხარჯები შემცირდეს 3 000 ლარით.

6.1.3. არაფინანსური აქტივების, ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის ხარჯების მუხლი შემცირდეს 48 167 ლარით.

6.1.4. ნედლეულისა და მასალების ხარჯები შემცირდეს 24 834 ლარით.

6.2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილი შემცირდეს 127 528 ლარით, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც. კერძოდ:

6.2.1. შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯები შემცირდეს 127 528 ლარით.

6.3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილი შემცირდეს 74 350 ლარით, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც. კერძოდ:

6.3.1. შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯები შემცირდეს 57 000 ლარით.

6.3.2. კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის ხარჯები შემცირდეს 2 350 ლარით.

6.3.3. არაფინანსური აქტივების, ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის ხარჯები შემცირდეს 15 000 ლარით.

6.4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილი შემცირდეს 50 161 ლარით, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც. კერძოდ:

6.4.1. შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯები შემცირდეს 50 161 ლარით.

6.5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილი შემცირდეს 142 500 ლარით, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც. კერძოდ:

6.5.1. საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენის მუხლი შემცირდეს 49 000 ლარით.

6.5.2. შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯები შემცირდეს 77 000 ლარით.

6.5.3. არაფინანსური აქტივების, კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლი შემცირდეს 8 500 ლარით.

6.5.4. არაფინანსური აქტივების, ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის შეძენის მუხლი შემცირდეს

8 000 ლარით.

6.5.5. განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილება: არაფინანსური აქტივების, ელექტრომომწობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის შეძენის მუხლიდან 600 ლარი გადატანილ იქნეს სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის ხარჯების პუნქტში.

6.6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილი შემცირდეს 17 313 ლარით, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც. კერძოდ:

6.6.1. შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯები შემცირდეს 17 313 ლარით.

6.6.2. განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილება: შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 1 800 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.

6.7. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილი შემცირდეს 412 914 ლარით, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც. კერძოდ:

6.7.1. არაფინანსური აქტივების კომპიუტერული ტექნიკის შეძენის ხარჯები შემცირდეს 412 914 ლარით.

6.7.2. განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილება: არაფინანსური აქტივების, კომპიუტერული ტექნიკის შეძენის ხარჯებიდან 600 ლარი გადატანილ იქნეს სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის ხარჯების პუნქტში.

6.8. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილი შემცირდეს 248 325 ლარით, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც. კერძოდ:

6.8.1. შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯები შემცირდეს 248 325 ლარით.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი დიდი ჯიხაიშის აგროინჟინერიის და სასურსათო



ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის სტუ-ს საკუთრებაში გადმოცემის, მისი დირექტორის დანიშვნისა და დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება =773 - მომხსენებელი პროფ. თამაზ ბაციკაძე;

**პროფ. თამაზ ბაციკაძე:** რამდენიმე ათეული წელი იმერეთში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიში, ფუნქციონირებდა პროფესიული განათლების ცენტრი, რომელშიც ხუთასამდე მოსწავლე ირიცხებოდა. აღნიშნული კოლეჯი 2009 წელს დაიხურა, ხოლო ამ წლის გაზაფხულზე მოსახლეობამ დააყენა საკითხი პროფესიული განათლების ცენტრის აღდგენასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც კოლეჯი საკუთრებაში ჩვენ გადმოგვეცა. მოგახსენებთ, რომ აღნიშნული პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფილია ბაზით, მას ასევე გააჩნია სპორტული დარბაზი, სასწავლო კორპუსები და 20 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ექსპერიმენტული სამუშაოების განხორციელებისათვის.

**რექტორი:** მაღლობა მინდა ვუთხრა პროფესიული განათლების ცენტრის ყოფილ ხელმძღვანელებს, რომ მათ შემლეს და მოახერხეს აღნიშნული ცენტრის დაცვა გამარცვისა და დანგრევისაგა. აქვე მოგაწოდებთ დამატებით ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მოიგო ნატოს ხუთასი ათასიანი გრანტი, რითაც ვალდებული ვართ გავაკეთოთ ე. წ. დისტანციური სწავლების ქსელი. აქედან გამომდინარე, უახლოეს მომავალში ცენტრს გადავცემთ დაახლოებით 50 კომპიუტერს.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.**

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 26 ოქტომბრის =14 სხდომაზე პროფ. თამაზ ბაციკაძემ წარმოადგინა საკითხი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი დიდი ჯიხაიშის აგროინჟინერიის და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის სტუ-ს საკუთრებაში გადმოცემის, მისი დირექტორის დანიშვნისა და დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 სექტემბრის დადგენილება =773.

სენატმა გადაწყვიტა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 10 სექტემბრის =10/0916 განკარგულების შესრულების მიზნით, სტუ-ს საკუთრებაში, მის ბალანსზე აყვანილ იქნეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიშში მდებარე 118609 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, სტუ-ს აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის შექმნის მიზნით.
2. დამტკიცდეს სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის „დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის“ დებულება.
3. კოლეჯის დირექტორად დაინიშნოს ბ-ნი ნუგზარ მიქაძე.
4. ეთხოვოს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს აღნიშნულ კოლეჯს ფუნქციონირებისათვის გამოუყოს 10 290 ლარი წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის უფროსის

პროფ. ოთარ ზუმბურიძის მოხსენებითი ბარათის შესახებ (საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან „იტალიური ენისა და კულტურის საუნივერსიტეტო ცენტრის“ შექმნის შესახებ). აკადემიური საბჭოს დადგენილება =789 - მომხსენებელი პროფ. ოთარ ზუმბურიძე.

**პროფ. ოთარ ზუმბურიძე:** საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა იტალიის საელჩოს მეშვეობით მიმართა იტალიის მთავრობას იმის თაობაზე, რომ გარკვეული ფინანსური დახმარება გაეწია ჩვენი უნივერსიტეტისათვის. იტალიის მთავრობამ გადაწყვიტა დაახლოებით 4 წლის განმავლობაში გადმორიცხოს თანხები. ამასთან დაკავშირებით ჩვენთან იქმნება „იტალიური ენისა და კულტურის საუნივერსიტეტო ცენტრი“. აკადემიურმა საბჭომ იმსჯელა ამ საკითხთან დაკავშირებით და მიიღო დადებითი დადგენილება. ჩვენი უნივერსიტეტის ის სტუდენტი, ვინც ერთ დამატებით უცხო ენად ამოირჩევს იტალიურს, ცენტრისათვის გამოყოფილი დაფინანსების ხარჯზე, ამ ენას ისწავლის უფასოდ.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.**

### **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =3**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 26 ოქტომბრის =14 სხდომაზე პროფ. ოთარ ზუმბურიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან „იტალიური ენისა და კულტურის საუნივერსიტეტო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 9 ოქტომბრის დადგენილება =789.

**სენატმა გადაწყვიტა:** დამტკიცდეს სტუ-სთან „იტალიური ენისა და კულტურის საუნივერსიტეტო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის პროფ. ნუგზარ

წერეთლის მოხსენებითი ბარათის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება =788 - მომხსენებელი პროფ. ნუგზარ წერეთელი.

**პროფ. დავით ნოზაძე:** ზემოაღნიშნული საკითხი ეხება „ფერადლითონური მასალების მეტალურგიის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრისთვის“ პროფესორ გივი ზვიადაძის სახელის მინიჭებას. გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა აღნიშნულ ცენტრს ეწოდოს პროფესორ გივი ზვიადაძის სახელი.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.**

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 26 ოქტომბრის =14 სხდომაზე პროფ. ნუგზარ წერეთელმა წარმოადგინა საკითხი „ფერადლითონური მასალების მეტალურგიის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრისთვის“ პროფესორ გივი ზვიადაძის სახელის მინიჭების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 9 ოქტომბრის დადგენილება =788.

**სენატმა გადაწყვიტა:** დაკმაყოფილდეს სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის პროფ. ნუგზარ წერეთლის შუამდგომლობა და „ფერადლითონური მასალების მეტალურგიის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრს“ ეწოდოს პროფესორ გივი ზვიადაძის სახელი.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - სტუ-ს ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრისათვის სერგი დურმიშიძის სახელის მინიჭების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება =770 - მომხსენებელი პროფ. გიორგი კვესიტაძე.

**პროფ. გიორგი კვესიტაძე:** წარმოგიდგინთ სახეშეცვლილ საკითხს და გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა სტუ-თან შეიქმნას „სერგი დურმიშიძის სახელობის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ცენტრი“ და დამტკიცდეს მისი დებულება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეხუთე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 26 ოქტომბრის =14 სხდომაზე პროფ. გიორგი კვესიტაძემ წარმოადგინა საკითხი „სერგი ღურმიშიძის სახელობის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 სექტემბრის დადგენილება =770.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-სთან „სერგი ღურმიშიძის სახელობის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება. ასევე, ცენტრის დირექტორად დამტკიცდეს აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხი - სტუ-ს „სამშენებლო ენციკლოპედიის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება =766 - მომხსენებელი პროფ. თამაზ ხმელიძე.

პროფ. თამაზ ხმელიძე: წარმოგიდგინთ საკითხს „სამშენებლო ენციკლოპედიის ცენტრის“ შექმნასა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. მოგახსენებთ, რომ ცენტრი მოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპით. მისი საქმიანობა, მიზნები და ძირითადი მიმართულებებია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა (ძირითადად სამშენებლო ფაკულტეტის) და რესპუბლიკის ცნობილ მშენებელთა ძალებით, მოამზადოს და გამოსცეს სამშენებლო ენციკლოპედიის მრავალტომეული ქართულ ენაზე. ასევე აწარმოოს აქტიური სარეკლამო და ინფორმაციული მუშაობა ფინანსების მოსაზიდად, რათა სამშენებლო

ენციკლოპედიის შექმნა გახდეს რეალური. მცირე ბიზნესის სახით, ცენტრის ძალებით, აწარმოოს ჟურნალისტური, მთარგმნელობითი, ტექსტების კომპიუტერული უზრუნველყოფის, ტექსტების აწყობის, ბეჭდვის და სხვა სამუშაო, რომელიც მოხმარდება ცენტრის ფუნქციონირებას.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეექვსე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

## გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 26 ოქტომბრის =14 სხდომაზე პროფ. თამაზ ხმელიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან „სამშენებლო ენციკლოპედიის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 სექტემბრის დადგენილება =766.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-სთან „სამშენებლო ენციკლოპედიის ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი – სტუ-ში „ტექსტილისა და ტყავის ნაწარმის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება =774 – მომხსენებელი პროფ. ქეთევან კვესელავა.

პროფ. ქეთევან კვესელავა: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში იქმნება „ტექსტილისა და ტყავის ნაწარმის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი“, რომელიც იმოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპით. იგი იშუამდგომლებს სტუ-ს წინაშე შეკვეთებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით, მისი დებულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად. ცენტრის საქმიანობის მიზნები და ძირითადი მიმართულებებია: ტექსტილისა და ტყავის ნაწარმის დამზადება, დამუშავება,

მოდელირება, კონსტრუირება, დეკორატიული გაფორმება, თანამედროვე პროგრამებისა და მსოფლიო სტანდარტების გამოყენებით, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის საწარმოებში მომუშავეთა და სამუშაოს მაძიებელთა პროფესიონალიზმის ამაღლება, სწრაფი სწავლება და გადამზადება. მსუბუქ მრეწველობაში უახლესი პროგრამული პაკეტების, ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების შესწავლა, დანერგვა და გამოყენება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 26 ოქტომბრის =14 სხდომაზე პროფ. ქეთევან კვესელავამ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან „ტექსტილისა და ტყავის ნაწარმის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 სექტემბრის დადგენილება =774.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-სთან „ტექსტილისა და ტყავის ნაწარმის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მერვე საკითხი - სტუ-ში სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „ნანოდულაბის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება =781 - მომხსენებელი პროფ. ვაჟა (რაჟდენ) სხვიტარიძე.

პროფ. ვაჟა (რაჟდენ) სხვიტარიძე: საქართველოში, და ჩვენს უნივერსიტეტშიც, ყურადღება არ ექცევა ბეტონის ქიმიას. ასეთი საგანი არ ისწავლებოდა. დღეს სამრეწველო ბაზარზე წინ არის წამოწეული ბეტონის ქიმია და ნაკლებად გვყავს ამ დარგის სპეციალისტები. ახალგაზრდების გარკვეულმა ჯგუფმა

გამოხატა ინტერესი და ჩვენ ერთად ვიმუშავეთ წარმოებაში. შედეგებიც საინტერესო გვაქვს, მაგრამ პრაქტიკულ საქმეს სჭირდება მეცნიერული გაძლიერება. ამ საქმეში ჩაერთვებიან სტუდენტები და ამ მიმართულებით მათი ცოდნა ამაღლდება.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მერვე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.**

## **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =8**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 26 ოქტომბრის =14 სხდომაზე პროფ. ვაჟა (რაჟდენ) სხვიტარიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „ნანოდულაბის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 სექტემბრის დადგენილება =781.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-სთან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „ნანოდულაბის“ შექმნა და მისი დებულება.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეცხრე საკითხი - სტუ-ში მეტროლოგიური, სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის უზრუნველყოფის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრ „სტანდარტის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება =784 - მომხსენებელი პროფ. ნოდარ აბელაშვილი.

**პროფ. ნოდარ აბელაშვილი:** საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში იქმნება მეტროლოგიური, სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის უზრუნველყოფის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი „სტანდარტი“, რომელიც იმოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპით. სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მიზანს წარმოადგენს: საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით ტრენინგების მოწყობა, ასევე, ტრენინგები ლაბორატორიათაშორისი შედარების საერთაშორისო ბაზაში მონაცემთა წარდგენის მოსამზადებლად,



სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, საკონტროლო გაზომვების, გამოცდების, მონიტორინგისა და მონაცემთა დამუშავების სამუშაოთა შესრულების ორგანიზაცია პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპზე და სხვ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეცხრე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 26 ოქტომბრის =14 სხდომაზე პროფ. ნოდარ აბელაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან „მეტროლოგიური, სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის უზრუნველყოფის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრ „სტანდარტის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 სექტემბრის დადგენილება =784.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-სთან „მეტროლოგიური, სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის უზრუნველყოფის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრ „სტანდარტის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,  
პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,  
სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი